



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი
საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობას

საქართველოს პარლამენტის

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ შალვა პაპუაშვილს

ბატონო შალვა,

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტის და მასთან არსებული ორგანიზაციების 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

გენერალური აუდიტორი

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	4
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	13
საკონტაქტო ინფორმაცია	21

ტერმინები და
შემოკლებები

პარლამენტი – საქართველოს პარლამენტის აპარატი.

ბიბლიოთეკა – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ჰერალდიკა – საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო.

კვლევითი ცენტრი – სსიპ – საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სსზასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

1. რეკომენდაციები

1.1 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიზნება

- სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ერთეულებს შეუძლიათ აქტივების რეალური ღირებულების დადგენა ერთჯერადი გადაფასებით, როცა მისი ცვეთადი ღირებულება სრულადაა ამოწურული და ის არ ჩაითვლება სამართლიანი ღირებულების მოდელის გამოყენებად.¹ ჯგუფში შემავალ ორგანიზაციებს² გააჩნიათ ექსპლუატაციაში არსებული და სრულად გაცვეთილი აქტივები ისტორიული ღირებულებით – 4,823,951 ლარი, რომლებიც აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და ექვემდებარებიან ბალანსზე ასახვას, თუმცა სსბასს-ების დანერგვის გარდამავალი პერიოდიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ შეფასებულა და ბალანსზე არ არის ასახული.

- სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, ერთეულებს შეუძლიათ აქტივების რეალური ღირებულების დადგენა ერთჯერადი გადაფასებით, როცა მისი ცვეთადი ღირებულება სრულადაა ამოწურული ან მისი ღირებულება არ შეესაბამება რეალობას და ის არ ჩაითვლება სამართლიანი ღირებულების მოდელის გამოყენებად.³ პარლამენტის მიერ 2022 წელს დაზღვევის მიზნებისთვის მოხდა ექსპლუატაციაში არსებული 760,182 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების 91 ერთეული სატრანსპორტო საშუალებების შეფასება და რეალური ღირებულების განსაზღვრა 3,418,100 ლარის ოდენობით. ღირებულებების მნიშვნელოვანი სხვაობიდან გამომდინარე აქტივები ექვემდებარებოდა ერთჯერად გადაფასებას და ბალანსზე ასახვას, თუმცა მათი რეალური ღირებულება ბალანსზე არ ასახულა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული თანხების სხვაობით – 2,657,918 ლარით შემცირებულია ძირითადი აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, წმინდა აქტივების კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში კი არაა ასახული კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად – 2,657,918 ლარი.

მიზეზი

შესაბამისი პროცედურების არარსებობა ექსპლუატაციაში არსებული აქტივების ღირებულებების დადგენასთან დაკავშირებით.

გავლენა

ექსპლუატაციაში არსებული აქტივების აღურიცხველობა, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტით გათვალისწინებულ აქტივების განმარტებას და აღიარების კრიტერიუმებს.

რეკომენდაცია

აქტივების სრულყოფილად აღრიცხვის და სსბასს-თან შესაბამისობის მიზნით, მნიშვნელოვანია ორგანიზაციებმა შეიმუშაონ შესაბამისი პროცედურები ექსპლუატაციაში არსებული აღურიცხავი/განუღლებული აქტივების ღირებულების დადგენასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლებელია როგორც

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 10, პუნქტი 23.

² პარლამენტის აპარატი, ბიბლიოთეკა, კვლევითი ცენტრი.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 10, პუნქტი 23.

მომსახურების ვადების გახანგრძლივებით და დაგროვილი ცვეთის გადაანგარიშებით, ისე ზაზრის დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით აისახოს ბალანსზე; ხოლო საბალანსო მონაცემების დაზუსტების და ფინანსური ანგარიშგების სრულყოფილად წარდგენის მიზნით, პარლამენტმა ერთჯერადად გადაფასებულ აქტივებთან მიმართებით, განახორციელოს შესაბამისი პროცედურები.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

საქართველოს პარლამენტის აპარატი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; სსიპ – საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი.

აუდიტის მიგნება

- ბიბლიოთეკის შემთხვევაში 9,969,970 ლარის ისტორიული ღირებულების შენობა-ნაგებობებიდან, დოკუმენტურად დადასტურების შესაძლებლობა მოგვეცა მხოლოდ 506,200 ლარის ქონებაზე. ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში მიწის ღირებულება არ არის გამიჯნული შენობების ღირებულებიდან. შესაბამისად, შეუძლებელია შეფასება, შენობის ღირებულებები მოიცავს თუ არა მიწის ფასს და რამდენად სწორადაა გაანგარიშებული ცვეთის ხარჯები. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება ნარჩენი საბალანსო ღირებულებისა და 2022 წელს დარიცხული ცვეთის ხარჯის სისწორის შესახებ.

მიზეზი

ორგანიზაციაში შესაბამისი დოკუმენტაციის არარსებობა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლების სისწორისა და სისრულის დადასტურება.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლების სისრულისა და სიზუსტის დადასტურების და ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ხარისხობრივი მაჩასიათებლის⁴ შესრულების შეუძლებლობა.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მაჩასიათებლის „შემოწმების შესაძლებლობის“ უზრუნველყოფის და ანგარიშგებაში ასახული მუხლების სისრულისა და სისწორის დადასტურების მიზნით შემუშავდეს პროცედურები დოკუმენტურად დაუდასტურებელი აქტივების შეფასებასთან დაკავშირებით. დოკუმენტაციის ეროვნულ არქივში ჩაბარების შემთხვევაში ორგანიზაციამ უზრუნველყოს დამოწმებული ასლების შენახვა, სანამ შესაბამისი მუხლები აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, ასევე ბიბლიოთეკამ ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის უზრუნველყოს შენობებისა და მიწის ღირებულებების განცალკევებულად აღრიცხვა.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

1.2 არამატერიალური აქტივები

⁴ შემოწმების შესაძლებლობა.

აუდიტის მიგნება

- სტანდარტის⁵ შესაბამისად, არამატერიალური აქტივია იდენტიფიცირებადი აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივების მაგალითებია: კომპიუტერული პროგრამები, ლიცენზიები, პატენტები, საავტორო უფლებები და სხვ. 2022 წელს პარლამენტის მიერ ერთწლიანი ლიცენზიითა და ერთწლიანი მოქმედების ვადით, 17,820 ლარად შეძენილია დოკუმენტების მართვის პროგრამული პაკეტი, რომლებიც შესყიდვისთანავე ჩამოწერილია ოფისის ხარჯების სახით. ანალოგიურად, სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯებშია ჩამოწერილი 70,000 ლარად შესყიდული ქსელური მოწყობილობების საგარანტიო მომსახურება და მხარდაჭერის ლიცენზიები ერთწლიანი აქტივაციით. გამომდინარე იქიდან, რომ შეძენილი იყო კომპიუტერული პროგრამები, ლიცენზიები და მომავალი ერთი წლის განმავლობაში მიიღებოდა სარგებელი, იგი აკმაყოფილებდა არამატერიალური აქტივის განმარტებას და ექვემდებარებოდა არამატერიალურ აქტივად აღრიცხვას. შესაბამისად, 87,820 ლარით გაზრდილია საქონლისა და მომსახურების ხარჯები და 23,547 ლარით შემცირებულია 2022 წელს დასარიცხი ამორტიზაციის ხარჯი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში, ზემოაღნიშნული თანხების სხვაობით, 64,273 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

- ბიბლიოთეკის მიერ 2022 წლის დასაწყისში 6,040 ლარად შესყიდულია ერთწლიანი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლება/ლიცენზია, 9,520 ლარად შესყიდულია ანტივირუსი ერთი წლის ვადით, 2022 წლის სექტემბერში 9,750 ლარად შესყიდულია ქსელური უსაფრთხოების მხარდაჭერის ერთწლიანი ლიცენზიები. ზემოაღნიშნული არამატერიალური აქტივები შესყიდვისთანავე ჩამოწერილია საქონლისა და მომსახურების ხარჯებში – ოფისის ხარჯის სახით, ნაცვლად არამატერიალურ აქტივებად აღრიცხვისა და ამორტიზაციის ხარჯით გამოქვითვისა. შესაბამისად, ჯამურად 25,310 ლარითაა გაზრდილი საქონლისა და მომსახურების ხარჯი და დასარიცხი ცვეთის თანხებით, 18,810 ლარით შემცირებულია ამორტიზაციის ხარჯი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში. ზემოაღნიშნული თანხების სხვაობით, 6,500 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთები 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

- დადგენილი წესის შესაბამისად,⁶ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხებათ. პარლამენტის მიერ 826,793 ლარის უვადო ექსპლუატაციის არამატერიალურ აქტივებზე 2022 წლის 1 იანვრამდე დაგროვილმა ამორტიზაციის თანხამ 192,972 ლარი, ხოლო 2022 წლის ამორტიზაციამ – 90,259 ლარი შეადგინა, ნარჩენი საბალანსო ღირებულება კი 2022 წლის ბოლოსთვის 543,562 ლარს შეადგენდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 192,972 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საწყისი ნაშთები და 283,231 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთი 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, 90,259 ლარით გაზრდილია ამორტიზაციის ხარჯი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

⁵ სსპსს 31 - არამატერიალური აქტივები, მე-16 და მე-17 მუხლები.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 3, პუნქტი 9.

	• ბიბლიოთეკის მიერ 677,935 ლარის უვადო ექსპლუატაციის არამატერიალურ აქტივებზე 2022 წლის 1 იანვრამდე დაგროვილმა ამორტიზაციის თანხამ – 462,967 ლარი, ხოლო 2022 წლის ამორტიზაციამ – 80,684 ლარი შეადგინა, ნარჩენი საბალანსო ღირებულება კი 2022 წლის ბოლოსათვის 134,284 ლარს შეადგენდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 462,967 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთები და 543,651 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთები 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. 80,684 ლარით გაზრდილია ამორტიზაციის ხარჯი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.
მიზნუბი	შესაბამისი პროცედურების და კრიტერიუმების არარსებობა არამატერიალური და განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადების აქტივების იდენტიფიცირებასა და კანონმდებლობისა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვასთან დაკავშირებით.
გავლენა	ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების, ცვეთის ხარჯების არასწორად წარდგენა.
რეკომენდაცია	სტანდარტებთან შესაბამისობის და ერთგვაროვანი აღრიცხვის უზრუნველყოფის მიზნით დაზუსტდეს და განისაზღვროს კრიტერიუმები არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, ასევე განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის არამატერიალური აქტივების სტანდარტების და კანონმდებლობის შესაბამისად, აღრიცხვის უზრუნველსაყოფად გაიწეროს შესაბამისი პროცედურები.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საქართველოს პარლამენტის აპარატი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

1.3 მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	დადგენილი წესის შესაბამისად, ვალდებულებების ინვენტარიზაციის დროს კომისია ადგენს ნაშთების რეალურობას ⁷ და ვალდებულებების ჩამოწერის გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი გარემოებების მიხედვით: იძებნება თუ არა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ვალდებულებების წარმოშობა, რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ვალდებულების აღიარების კრიტერიუმებს, შესაძლებელია თუ არა კონტრაგენტების ზუსტად იდენტიფიცირება და როგორია ვალდებულებების დაფარვის შედეგად ეკონომიკური სარგებლის გადინების ალბათობა. ⁸ 2022 წლის ბიბლიოთეკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთები მოიცავს 1998-1999 წლებში წარმოშობილ 184,781 ლარის სახელფასო დავალიანებებსა და
------------------------	--

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N365 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 11, პუნქტი 1.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N365 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 11, პუნქტი 9.

25,002 ლარის სოციალური დაზღვევის ანარიცხებს. როგორც ორგანიზაცია განმარტავს, არ იძებნება დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება ვალდებულებების წარმოშობა, ვერ ხერხდება კრედიტორების იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური სარგებლის გადინების ალბათობაც პრაქტიკულად ნულის ტოლია. აღნიშნული კი წარმოადგენს აღრიცხული ვალდებულებების ჩამოწერის პირობებს და 2022 წლის დასაწყისშივე აღარ აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებული ვალდებულებების განმარტებას და აღიარების კრიტერიუმებს, რასთან დაკავშირებითაც საინვენტარიზაციო კომისიას არ მიუღია შესაბამისი გადაწყვეტილება. შესაბამისად, 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჯამურად – 209,783 ლარით გაზრდილია ვალდებულებების და შემცირებულია – კაპიტალის საწყისი და საბოლოო ნაშთები..

მიზეზი

შესაბამისი პროცედურების არარსებობა საინვენტარიზაციო კომისიის მხრიდან ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ვალდებულებების შემოწმებასა და რეალობის დადასტურებასთან დაკავშირებით.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებებისა და კაპიტალის მუხლების არასწორად წარდგენა.

რეკომენდაცია

ანგარიშგებაში აღრიცხული მუხლების უტყუარობის მიზნით, ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო კომისიამ იმსჯელოს ბალანსზე არსებული ვალდებულებების რეალობის შესახებ და უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება მათ აღიარება-ჩამოწერასთან დაკავშირებით.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

1.4 ინვენტარიზაცია და აქტივების ანალიზური აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული მონაცემების უტყუარობის, აქტივების დაცვის, დანაკლისების, გამოსაღებარი და აღურიცხავი აქტივების გამოვლენის მიზნით კონტროლის ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს ინვენტარიზაცია წარმოადგენს, რომლის ჩატარებაც საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის სავალდებულოა ყოველწლიურად დამტკიცებული ინსტრუქციის⁹ შესაბამისად. ამავე ინსტრუქციის მიხედვით,¹⁰ შესაბამისი სამსახური ვალდებულია ინვენტარიზაციის დაწყებამდე ძირითადი აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციები სრულყოფილად ასახოს ანალიზური აღრიცხვის ბარათებში. ჯგუფში შემავალი ორგანიზაციებიდან 2022 წელს ინვენტარიზაცია ჩატარდა პარლამენტის აპარატსა და ბიბლიოთეკაში. უნდა აღინიშნოს, რომ

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 3, პუნქტი 24.

ძირითად აქტივებს ფიზიკურად მინიჭებული აქვთ უნიკალური საინვენტარო ნომრები (შტრიხკოდები), თუმცა ამ ნომრების მიხედვით შესყიდვის დოკუმენტის იდენტიფიცირება შეუძლებელია ბიბლიოთეკის შემთხვევაში, ვინაიდან არ წარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N449 ბრძანებით დამტკიცებული ძირითადი აქტივების აღრიცხვის საინვენტარო ბარათები, რომლებიც ითვალისწინებს მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დადასტურებულ საინვენტარო ნომერსა და შესყიდვის დოკუმენტის დაფიქსირებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საინვენტარიზაციო კომისია ადასტურებს აქტივის ფიზიკურ არსებობას, თუმცა კონკრეტულად რა ღირებულების აქტივია, მხოლოდ ზეპირი განმარტებით შეუძლია დააიდენტიფიციროს. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი ბუღალტრული მონაცემების ფაქტობრივ მონაცემებთან სრულყოფილი შედარება და ინვენტარიზაციის საბოლოო მიზნების მიღწევა.

მიზეზი

ძირითადი აქტივების ანალიზური აღრიცხვის პროცედურების არარსებობა.

გავლენა

ინვენტარიზაციისა და ბუღალტრული მონაცემების შედარების შეუძლებლობა.

რეკომენდაცია

აქტივების დაცვის და იდენტიფიკაციის მიზნით ბიბლიოთეკამ შეიმუშაოს და დანერგოს პროცედურები აქტივების ანალიზურ აღრიცხვასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელს გახდის არსებული აქტივების ზუსტ იდენტიფიცირებას მიღების/შესყიდვის დოკუმენტებთან მიმართებით. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ და კვლევითმა ცენტრმა უზრუნველყონ სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო; სსიპ – საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი.

1.5 სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშთა გეგმა

აუდიტის მიგნება

დადგენილი წესის¹¹ შესაბამისად, ერთეულები შეიმუშავებენ აღრიცხვის და ანგარიშგების შიდა მეთოდურ მითითებებს და წესებს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის სახით, ასევე შეიმუშავებენ სამუშაო ანგარიშთა გეგმას, რომელიც მტკიცდება ხელმძღვანელის მიერ. 2022 წლის მდგომარეობით, ბიბლიოთეკას, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს და კვლევით ცენტრს არ ჰქონდათ შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტი. მათივე განმარტებით, ისინი ელოდნენ მაკონტროლებელი ორგანოს პარლამენტის მიერ შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის საბოლოო დამტკიცებას, რომელიც 2022 წელს გადიოდა შიდა განხილვის პროცედურებს და არ იყო შემუშავებული დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი. ასევე არ იყო დამტკიცებული სამუშაო ანგარიშთა გეგმები და პარლამენტისა და ბიბლიოთეკის მიერ გამოყენებული ანგარიშთა გეგმები რიგ შემთხვევებში სრულად არ შეესაბამებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 5, პუნქტი 4; მუხლი 10, პუნქტი 7.

დამტკიცებულ ინსტრუქციას.¹² კერძოდ, პარლამენტის საავანსო მოთხოვნები აღირიცხებოდა ვალდებულებების ანგარიშზე, ბიბლიოთეკის ანგარიშთა გეგმა არ იყო საკმარისად დეტალიზებული და გამოყენებულია ზედა დონის ანგარიშები.

მიზეზი

სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის და დამტკიცებული სამუშაო ანგარიშთა გეგმების არარსებობა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების არაერთგვაროვანი მიდგომის რისკები.

რეკომენდაცია

აღრიცხვის ერთგვაროვანი მიდგომების და სსბასს-თან შესაბამისობის მიზნით, მაკონტროლებელი ორგანოს მიერ შემუშავდეს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლითაც განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგების მუხლების აღიარების, შეფასების, გამჟღავნებისა და წარდგენის სტანდარტთან შესაბამისი შიდა მეთოდური მითითებები, ხოლო უზუსტობების რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ორგანიზაციების მიერ შემუშავდეს და დამტკიცდეს სამუშაო ანგარიშთა გეგმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს პარლამენტის აპარატი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო; სსიპ – საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი.

1.6 შრომის ანაზღაურება

აუდიტის მიგნება

- მოხელეს ფულადი ჯილდო ეძლევა ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე მისი შეფასების შედეგების გათვალისწინებით.¹³ ამასთანავე, ფულადი ჯილდო შეიძლება მიეცეს მოლოდინს დასაშვანად მოხელეს, რომელმაც შეფასების შედეგად მიიღო შეფასება – „საუკეთესო“ ან „კარგი“.¹⁴ პარლამენტის აპარატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები¹⁵ რამდენიმე შემთხვევაში არ მოიცავდა შეფასების შედეგებს. გარკვეულ შემთხვევებში, ჯილდო გაცემულია შეფასების გარეშე.¹⁶

- კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისთვის სახელფასო დანამატის და ფულადი ჯილდოს განსაზღვრის უფლებამოსილება ხორციელდება ზემდგომი თანამდებობის პირის/ორგანოს გადაწყვეტილებით.¹⁷ 2022 წელს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელზე ფულადი ჯილდო და სახელფასო დანამატი,¹⁸

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

¹³ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

¹⁴ „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N203 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁵ ბრძანება, წარდგინებები და ინფორმაცია მოხელის შეფასების შედეგების შესახებ.

¹⁶ სულ 18,407 ლარი 10 მოხელეზე.

¹⁷ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 23, პუნქტი 3 და მუხლი 24, პუნქტი 2.

¹⁸ 8,260 ლარი

გაცემულია საკუთარი ბრძანებების საფუძველზე ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე.

- მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე სახელფასო დანამატის გაცემას, რომლის მიცემის უფლებამოსილება უნდა გამომდინარეობდეს ხელშეკრულების პირობებიდან.¹⁹ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოში 2022 წელს გაიცა სახელფასო დანამატი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ 5 პირზე,²⁰ რომლის გაცემის უფლებამოსილება ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, არ არსებობდა.

- კანონმდებლობის შესაბამისად, მოხელეს ფულადი ჯილდო ეძლევა შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში. 2022 წელს პარლამენტში 26 მოხელეზე 10,400 ლარის ჯილდო გაიცა, 2021 წლის შედეგების საფუძველზე. ანალოგიურად, ბიბლიოთეკაში 2021 წლის შედეგების გათვალისწინებით, 2022 წელს გაცემულია 72,467 ლარის ფულადი ჯილდო.

მიზეზი

შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დანამატის გაცემა შრომითი ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებზე ფულადი ჯილდოს/დანამატის გაცემა მხოლოდ ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე და გამორიცხოს მოხელეებზე ფულადი ჯილდოს გაცემა შესაბამისი საბიუჯეტო წლის შეფასების გარეშე.

გავლენა

ხარვეზები კანონმდებლობის მოთხოვნების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია

მიზანშეწონილია შემუშავდეს და დაინერგოს შეფასების შესაბამისი სისტემა, რომელიც გამორიცხავს შესაბამისი საბიუჯეტო წლის შეფასების გარეშე თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოს გაცემას. შემუშავდეს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დანამატის გაცემას შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხოლო ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებზე ფულადი ჯილდოს/დანამატის გაცემას, მხოლოდ ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს პარლამენტის აპარატი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო.

1.7 სააღრიცხვო შეფასებები

აუდიტის მიგნება

- დადგენილი წესის შესაბამისად,²¹ ცვეთადი აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება შეიძლება ნულის ტოლი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთეული ამ აქტივის გამოყენებას აპირებს მთლიანი ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში, ხოლო ეკონომიკური მომსახურების ვადა არის პერიოდი, როცა აქტივს შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მოტანა. გარდამავალი პერიოდიდან გამომდინარე, ჯგუფში შემავალ ყველა

¹⁹ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁰ თანხით – 6,400 ლარი

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 5, პუნქტი 2.

ორგანიზაციას სალიკვიდაციო ღონისძიებებზე განსაზღვრული აქვს ნული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით არ აპირებენ მათ გამოყენებას მთლიანი ეკონომიკური მომსახურების ვადით. შედეგად არსებული პრაქტიკა, ერთი მხრივ, არ შეესაბამება დადგენილ წესს და მეორე მხრივ, „დაჩქარებული ცვლილებით“ ვიღებთ აქტივებს, რომლის ღირებულებაც განულებულია, თუმცა ისევ გამოიყენება და ერთეულისთვის ეკონომიკური სარგებელი მოაქვს, რაც ასევე მოქმედებს ყოველწლიურად დარიცხული ცვლის ხარჯის სიზუსტეზე, აღნიშნული კი არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

- სტანდარტის შესაბამისად,²² ერთეულები ვალდებული არიან განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების მქონე არამატერიალური აქტივები ყოველწლიურად შეამოწმონ გაუფასურებაზე, მათი საბალანსო და გამოყენების აღდგენითი ღირებულებების შედარების გზით. სტანდარტის დანერგვის გარდამავალი პერიოდიდან გამომდინარე, პარლამენტსა და ბიბლიოთეკაში არაა დანერგილი გამოყენების აღდგენითი ღირებულების დადგენის მეთოდები. შესაბამისად, 826,793 ლარის და 677,935 ლარის განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ შემოწმებულა გაუფასურებაზე.

- ძირითადი აქტივების ღირებულების შეფასების კუთხით მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს, რა შემთხვევაში ექვემდებარება რემონტზე გაწეული დანახარჯები კაპიტალიზაციას, ანუ ვიღებთ დამატებით ეკონომიკურ სარგებელს²³ და რა შემთხვევაში წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯებს, ანუ ხარჯები, რომლებიც პერიოდულად საჭიროა აქტივის იმავე მომსახურების ვადის შენარჩუნების მიზნით. მაგალითად, პარლამენტის შემთხვევაში დაკაპიტალიზებულია საპროექტო მომსახურებაზე გაწეული 355,680 ლარის ხარჯი, ხოლო ბიბლიოთეკის შემთხვევაში – სახურავის შეკეთება და არსებული გათბობის სისტემის რეაბილიტაცია, შესაბამისად, 160,495 ლარის და 195,186 ლარის ღირებულებით, რომელიც პერიოდულად სჭირდება შენობა-ნაგებობას მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შენარჩუნების მიზნით.

- სტანდარტის შესაბამისად,²⁴ გაცვლითი ოპერაციებით მიღებული და პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ანგარიშგების თარიღისთვის ფასდება მათ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია ბალანსზე არსებული ხანგრძლივად გამოუყენებელი/მოძველებული მარაგებისთვის. სტანდარტის დანერგვის გარდამავალი პერიოდიდან გამომდინარე, ორგანიზაციებში არ არის დანერგილი ნეტო სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრის მეთოდები. იმავე პარლამენტსა და ბიბლიოთეკასაც გააჩნიათ 2020 წლამდე შეძენილი მარაგები, რომლებიც ბალანსზე წარმოდგენილია თვითღირებულებით.

მიზეზი

შესაბამისი პროცედურების არარსებობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებების და ეკონომიკური მომსახურების ვადების ურთიერთშესაბამისობა, განუსაზღვრელი მომსახურების ვადის არამატერიალური აქტივების გაუფასურებაზე ტესტირება, მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებების დადგენა, შესაბამისი კრიტერიუმების

²² სსბასს 21 - ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება, მუხლი 26⁶.

²³ სსბასს 17 - ძირითადი საშუალებები, მუხლი 14.

²⁴ სსბასს 12 - სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, მუხლი 15.

	არარსებობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გაწეული დანახარჯების ურთიერთგამიჯვნა მიმდინარე და კაპიტალურ რემონტად.
გავლენა	სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების არასრულყოფილად შესრულება.
რეკომენდაცია	სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით, სტანდარტებთან და ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, ორგანიზაციებმა შეიმუშაონ სათანადო პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ: სალიკვიდაციო ღირებულებების შესაბამისობას განსაზღვრულ ეკონომიკურ მომსახურების ვადებთან, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების არამატერიალური აქტივების გაუფასურებაზე ტესტირებას. განისაზღვროს კრიტერიუმები კაპიტალური და მიმდინარე რემონტების ურთიერთგამიჯვნის მიზნით და განისაზღვროს პროცედურები მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებების დადგენასთან დაკავშირებით.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საქართველოს პარლამენტის აპარატი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო; სსიპ – საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

აუდიტის მიგნება	- დადგენილი წესის შესაბამისად,²⁵ „დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ – აღირიცხება ეროვნულ ბანკში ხაზინის ანგარიშებზე დროებით განთავსებული ფულადი სახსრები, ხოლო „სხვა ანგარიშები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ – აღირიცხება ხაზინაში გახსნილ ანგარიშებზე განთავსებული ნებისმიერი სხვა სახსრები, რომელთა აღრიცხვა არ არის გათვალისწინებული სხვა კატეგორიებში. პარლამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებად არის წარმოდგენილი ხაზინის სადეპოზიტო და მიზნობრივი გრანტების ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 32,049 ლარს და 129,092 ლარს. აღნიშნული თანხებით გაზრდილია მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და შემცირებულია ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები. - ერთეულები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამზადებენ სსბას 2-ით განსაზღვრული პირდაპირი მეთოდის მიხედვით, თუ ისინი სტანდარტის მიხედვით აკონტროლებენ და მართავენ ფულად სახსრებს.²⁶ სტანდარტის²⁷ შესაბამისად კი, აქტივების კონტროლი გულისხმობს ერთეულის
-----------------	--

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 6, მე-8 - მე-10 პუნქტები.

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 10, მე-4 და მე-5 პუნქტები.

²⁷ სსბასს სტანდარტები - კონცეპტუალური საფუძვლები, 5.11 და 5.12 პუნქტები.

უნარს, ეს აქტივი გამოიყენოს ისე, რომ მისგან სარგებელი მიიღოს საკუთარი მიზნების მიღწევისას ან შეზღუდოს სხვა ერთეულების ხელმისაწვდომობა ამ აქტივებზე. პარლამენტის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას. გამომდინარე იქიდან, რომ პარლამენტს გააჩნია ფულადი სახსრები ხაზინის საკუთარ ანგარიშებზე, ხდება აღნიშნული სახსრებიდან სარგებლის მიღება და შესაძლებლობა აქვს შეზღუდოს სხვა ერთეულების ხელმისაწვდომობა აღნიშნულ თანხებზე, კმაყოფილდება სტანდარტით განსაზღვრული ფულადი სახსრების კონტროლის კრიტერიუმები და შესაბამისად, 2022 წლის ანგარიშგებაში წარდგენას ექვემდებარებოდა „ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება“.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა ნაკლოვანება

საქართველოს პარლამენტის აპარატი.

2.2 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება

სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, ერთეულებს შეუძლიათ აქტივების რეალური ღირებულების დადგენა ერთჯერადი გადაფასებით, როცა მისი ცვეთადი ღირებულება სრულადაა ამოწურული ან მისი ღირებულება არ შეესაბამება რეალობას და ის არ ჩაითვლება სამართლიანი ღირებულების მოდელის გამოყენებად.²⁸ პარლამენტის მიერ 2022 წელს დაზღვევის მიზნებისთვის მოხდა ექსპლუატაციაში არსებული 760,182 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების 91 ერთეული სატრანსპორტო საშუალების შეფასება და რეალური ღირებულების განსაზღვრა 3,418,100 ლარის ოდენობით. ღირებულებების მნიშვნელოვანი სხვაობიდან გამომდინარე, აქტივები ექვემდებარებოდა ერთჯერად გადაფასებას და ბალანსზე ასახვას, თუმცა მათი რეალური ღირებულება ბალანსზე არ ასახულა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული თანხების სხვაობით – 2,657,918 ლარით შემცირებულია ძირითადი აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, წმინდა აქტივების კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში კი არაა ასახული კორექტირებები, ერთჯერადი გადაფასების შედეგად – 2,657,918 ლარი.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა ნაკლოვანება

საქართველოს პარლამენტის აპარატი.

აუდიტის მიგნება

დაუმთავრებელი მშენებლობა აისახება „სხვა გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებში“,²⁹ პარლამენტის მიერ 355,680 ლარის საპროექტო მომსახურების შესყიდვა ასახულია „ძირითად აქტივებში“. შესაბამისად, აღნიშნული თანხით გაზრდილია ძირითადი აქტივები და შემცირებულია სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

²⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბას-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 10, პუნქტი 23.

²⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, შენიშვნა 11.

2.3 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

- სტანდარტის³⁰ შესაბამისად, არამატერიალური აქტივია იდენტიფიცირებადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივებია, მაგალითად, კომპიუტერული პროგრამები, ლიცენზიები, პატენტები, საავტორო უფლებები და სხვ. 2022 წელს პარლამენტის მიერ ერთწლიანი ლიცენზიითა და ერთწლიანი მოქმედების ვადით 17,820 ლარად შეძენილია დოკუმენტების მართვის პროგრამული პაკეტები, რომლებიც შესყიდვისთანავე ჩამოწერილია ოფისის ხარჯების სახით. ანალოგიურად, სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯებშია ჩამოწერილი 70,000 ლარად შესყიდული ქსელური მოწყობილობების საგარანტიო მომსახურება და მხარდაჭერის ლიცენზიები ერთწლიანი აქტივაციით. გამომდინარე იქიდან, რომ შეძენილი იყო კომპიუტერული პროგრამები, ლიცენზიები და მომავალი ერთი წლის განმავლობაში ხდებოდა სარგებლის მიღება, იგი აკმაყოფილებდა არამატერიალურ აქტივის განმარტებას და ექვემდებარებოდა არამატერიალურ აქტივად აღრიცხვას. შესაბამისად, 87,820 ლარით გაზრდილია საქონლისა და მომსახურების ხარჯები და 23,547 ლარით შემცირებულია 2022 წელს დასარიცხი ამორტიზაციის ხარჯი, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში, ზემოაღნიშნული თანხების სხვაობით, 64,273 ლარით, შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

- დადგენილი წესის შესაბამისად,³¹ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხებათ. პარლამენტის მიერ 826,793 ლარის უვადო ექსპლუატაციის არამატერიალურ აქტივებზე 2022 წლის 1 იანვრამდე დაგროვილმა ამორტიზაციის თანხამ – 192,972 ლარი, ხოლო 2022 წლის ამორტიზაციამ – 90,259 ლარი შეადგინა, ნარჩენი საბალანსო ღირებულება კი 2022 წლის ბოლოსთვის 543,562 ლარს შეადგენდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 192,972 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საწყისი ნაშთები და 283,231 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთი, 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, 90,259 ლარით გაზრდილია ამორტიზაციის ხარჯი, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

აუდიტის მიგნება

- ბიბლიოთეკის მიერ 2022 წლის დასაწყისში 6,040 ლარად შესყიდულია ერთწლიანი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლება/ლიცენზია, 9,520 ლარად – ანტივირუსი ერთი წლის ვადით, 2022 წლის სექტემბერში 9,750 ლარად შესყიდულია ქსელური უსაფრთხოების მხარდაჭერის ერთწლიანი ლიცენზიები. ზემოაღნიშნული არამატერიალური აქტივები შესყიდვისთანავე ჩამოწერილია საქონლისა და მომსახურების ხარჯებში, ოფისის ხარჯის სახით, ნაცვლად არამატერიალურ აქტივებად აღრიცხვისა და ამორტიზაციის ხარჯით

³⁰ სსბასს 31 - არამატერიალური აქტივები, მე-16 და მე-17 მუხლები.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 „ბრძანება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 3, პუნქტი 9.

გამოქვითვისა. შესაბამისად, ჯამურად – 25,310 ლარითაა გაზრდილი საქონლისა და მომსახურების ხარჯი და დასარიცხი ცვეთის თანხებით, 18,810 ლარით შემცირებულია ამორტიზაციის ხარჯი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში. ზემოაღნიშნული თანხების სხვაობით, 6,500 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთები, 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

• ბიბლიოთეკის მიერ 677,935 ლარის უვადო ექსპლუატაციის არამატერიალურ აქტივებზე 2022 წლის 1 იანვრამდე დაგროვილმა ამორტიზაციის თანხამ – 462,967 ლარი, ხოლო 2022 წლის ამორტიზაციამ – 80,684 ლარი შეადგინა, ნარჩენი საბალანსო ღირებულება კი 2022 წლის ბოლოსათვის 134,284 ლარს შეადგენდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 462,967 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთები და 543,651 ლარით შემცირებულია არამატერიალური აქტივების და კაპიტალის საბოლოო ნაშთები, 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. 80,684 ლარით გაზრდილია ამორტიზაციის ხარჯი, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა ნაკლოვანება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

2.4 მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება

სტანდარტის შესაბამისად, დარიცხვის მეთოდით სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც იგი განეკუთვნება,³² ხოლო წინა საანგარიშო პერიოდის შეცდომები ერთეულმა უნდა გაასწოროს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით.³³ პარლამენტის საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნით, პოლონეთის მთავრობისგან 2019 წელს მიღებულია 24,600 ლარის ფულადი გრანტი. საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, იგი წარმოადგენს პარლამენტის მიერ დახარჯული საბიუჯეტო სახსრების საკომპენსაციო თანხას და ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას. გამომდინარე იქიდან, რომ თანხის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება არსებობდა ჯერ კიდევ 2022 წლამდე, დარიცხვის მეთოდით უნდა აღიარებულიყო ხარჯი და ვალდებულება ბიუჯეტის მიმართ, ხოლო 2022 წლის ანგარიშგებაში როგორც წინა პერიოდის შეცდომის გასწორება უნდა დაკორექტირებულიყო ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთები. შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 24,600 ლარით შემცირებულია ვალდებულებების და გაზრდილია კაპიტალის საწყისი და საბოლოო ნაშთები.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა ნაკლოვანება
აუდიტის მიგნება

საქართველოს პარლამენტის აპარატი.

• დადგენილი წესის შესაბამისად, ვალდებულებების ინვენტარიზაციის დროს კომისია ადგენს ნაშთების რეალურობას³⁴ და ვალდებულებების ჩამოწერის გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი გარემოებების მიხედვით: იძებნება თუ არა

³² სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7.

³³ სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, მუხლი 47.

³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N365 „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 11, პუნქტი 1.

დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ვალდებულებების წარმოშობა, რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ვალდებულების აღიარების კრიტერიუმებს, შესაძლებელია თუ არა კონტრაგენტების ზუსტად იდენტიფიცირება და როგორია ვალდებულებების დაფარვის შედეგად ეკონომიკური სარგებლის გადინების ალბათობა.³⁵ 2022 წლის ბიბლიოთეკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთები მოიცავს 1998-1999 წლებში წარმოშობილ 184,781 ლარის სახელფასო დავალიანებებსა და 25,002 ლარის სოციალური დაზღვევის ანარიცხებს. როგორც ორგანიზაცია განმარტავს, არ იძებნება დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება ვალდებულებების წარმოშობა, ვერ ხერხდება კრედიტორების იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური სარგებლის გადინების ალბათობაც პრაქტიკულად ნულის ტოლია. აღნიშნული წარმოადგენს აღრიცხული ვალდებულებების ჩამოწერის პირობებს და 2022 წლის დასაწყისშივე აღარ კმაყოფილდებოდა სტანდარტით გათვალისწინებულ ვალდებულებების განმარტება და აღიარების კრიტერიუმები, რასთან დაკავშირებითაც საინვენტარიზაციო კომისიას არ მიუღია შესაბამისი გადაწყვეტილება. შესაბამისად, 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჯამურად – 209,783 ლარით გაზრდილია ვალდებულებების და შემცირებულია კაპიტალის საწყისი და საბოლოო ნაშთები.

- სტანდარტის შესაბამისად, წინა საანგარიშო პერიოდის შეცდომები ერთეულმა უნდა გაასწოროს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით.³⁶ 2022 წლის დასაწყისისთვის ბიბლიოთეკის საგადასახადო დავალიანება შემოსავლების სამსახურის აღრიცხვის ბარათის შესაბამისად, შეადგენდა 508,139 ლარს, რომელიც ორგანიზაციის განმარტებით წარმოშობილია 2004 წლამდე და იზრდებოდა ძირითად თანხაზე საურავის დარიცხვით. მთავრობის გადაწყვეტილებით 2022 წელს ორგანიზაციას ჩამოეწერა 392,896 ლარი, 2022 წლის ბოლოს კი საგადასახადო ვალდებულება აღრიცხვის ბარათით შეადგენდა 131,213 ლარს, ხოლო ბუღალტრულად აღრიცხული საგადასახადო ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთები იყო 38,404 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ აღიარებული საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა მოხდა 2022 წელს, ვალდებულებები სრულად უნდა ასახულიყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც წინა პერიოდების უზუსტობის გასწორება, საწყისი ნაშთების კორექტირებით. შესაბამისად, 469,735 ლარით შემცირებულია საგადასახადო ვალდებულებების და გაზრდილია კაპიტალის საწყისი ნაშთები, 92,809 ლარით შემცირებულია ვალდებულებების და გაზრდილია კაპიტალის საბოლოო ნაშთები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში შემოსავლის სახით არ ასახულა 2022 წელს ჩამოწერილი 392,896 ლარი, შესაბამისად, შემცირებულია საექვო (უიმედო) მოთხოვნების ღირებულების შემცირების უკუგატარებით შემოსავლები.

**კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა ნაკლოვანება**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

³⁵ ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N365 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 11, პუნქტი 9.

³⁶ სსბასს 3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, მუხლი 47.

2.5 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

- მოქმედი კანონმდებლობის³⁷ შესაბამისად, მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრების ბიუროები შედიან პარლამენტის აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული ერთეულების სახით. ბიუროების მიერ ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების შესყიდვები 2022 წლის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახულია როგორც შემოსავლები გარე ტრანსფერებით, საერთო თანხით – 68,251 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ ბიუროები პარლამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია და არა ცალკე დამოუკიდებელი ერთეულები, მათ მიერ შესყიდული ძირითადი აქტივები წარმოადგენს პარლამენტის აპარატის მხრიდან აქტივებითა და ვალდებულებებით ოპერაციებს, ნაცვლად შემოსავლებით ოპერაციებისა. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ბიუროებისთვის გათვალისწინებული ფულადი სახსრები ხაზინიდან მათთვის განკუთვნილ საბანკო ანგარიშებზე გადარიცხვისთანავე ჩამოიწერება ხარჯად და არ აღირიცხება, როგორც აქტივებით ოპერაცია.

- სტანდარტის შესაბამისად, ვალდებულება არის წარსული მოვლენიდან წარმოშობილი ერთეულის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა და მისი დაფარვით მოსალოდნელია ერთეულიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლა.³⁸ ამასთანავე, წინა პერიოდის შეცდომები უნდა გასწორდეს საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით და შეცდომის თანხა არ ჩაითვლება იმ პერიოდის ნამეტში ან დეფიციტში, როცა აღმოჩენილ იქნა შეცდომა.³⁹ 2022 წელს პარლამენტის მიერ შემოსავლების აღიარებით ჩამოწერილია 2020-2021 წლებში წარმოშობილი 36,697 ლარის სახელფასო დავალიანებები პერსონალის მხრიდან 2021 წელს წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, რომლითაც ისინი უარს აცხადებდნენ დარიცხული შრომის ანაზღაურების მიღებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ აღარ იყო მოსალოდნელი ერთეულიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლა, აღნიშნული ვალდებულებები უკვე 2021 წელს აღარ აკმაყოფილებდნენ ვალდებულების განმარტებას. შესაბამისად, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გამოვლენილი უზუსტობა 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახულიყო, როგორც წინა პერიოდების შეცდომების გასწორება ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების კორექტირებით და არ უნდა წარდგენილიყო როგორც 2022 წლის ოპერაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა ნაკლოვანება

საქართველოს პარლამენტის აპარატი.

2.6 ხარჯები

აუდიტის მიგნება

- დადგენილი წესის⁴⁰ შესაბამისად, საბიუჯეტო კლასიფიკაციასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის განსხვავებების არსებობის შემთხვევაში,

³⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 202, პუნქტი 1; მუხლი 228, პუნქტი 2.

³⁸ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7.

³⁹ სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, 47-ე და 51-ე მუხლები.

⁴⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის

აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნებისთვის უპირატესობა ენიჭება სტანდარტის კლასიფიკაციებს, სტანდარტის⁴¹ მიხედვით კი, დაქირავებულთა სარგებელია ყველა სახის ანაზღაურება, რომელიც გაიცემა მათ მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, ხოლო მოკლევადიან სარგებელს განეკუთვნება ხელფასები. პარლამენტის მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციით „წარმომადგენლობით ხარჯის“ განმარტებიდან⁴² გამომდინარე, მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროების თანამშრომლების ხელფასის ხარჯი 4,244,105 ლარი, ნაცვლად „შრომის ანაზღაურების“ მუხლისა, ასახულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. გამომდინარე იქიდან, რომ აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნებისთვის უპირატესობა ენიჭება სტანდარტის კლასიფიკაციებს, ზემოაღნიშნული ხარჯი, როგორც თანამშრომელთა მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული სარგებელი, ნაცვლად „წარმომადგენლობით ხარჯის“ მუხლისა, ექვემდებარებოდა „შრომის ანაზღაურების“ მუხლში ასახვას.

- დადგენილი წესის შესაბამისად,⁴³ სხვადასხვა ხარჯებში აისახება დაზღვევის ხარჯები (გარდა სიცოცხლის დაზღვევისა), პარლამენტის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში გარე ტრანსფერებსა და სხვა საოპერაციო ხარჯებშია წარმოდგენილი პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები, თანხით – 2,030,102 ლარი და სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯები, თანხით – 68,448 ლარი.

- პარლამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯად არის წარმოდგენილი 2021 წელს მიღებული ერთწლიანი არამატერიალური აქტივის (ლიცენზია) 23,029 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულება. აღნიშნულ აქტივზე მიღების თარიღისა და გამოყენების ვადის გათვალისწინებით, ამორტიზაციის პროპორციულად დარიცხვის შემთხვევაში, იგი უნდა გამოქვითულიყო ამორტიზაციის ხარჯის სახით. ასევე, ინვენტარიზაციის დასკვნის საფუძველზე, საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯადაა ჩამოწერილი 10,251 ლარის ბუღალტრულად აღრიცხული 2004 წლამდე წარმოშობილი სამივლინებო მოთხოვნები და საშემოსავლო გადასახადის ზედმეტობა. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნების ნაშთების რეალობა არ დასტურდებოდა ჯერ კიდევ 2022 წლის დასაწყისში, გამოვლენილი უზუსტობა უნდა ასახულიყო, როგორც შეცდომების გასწორება მოთხოვნებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების კორექტირებით და არა, როგორც 2022 წლის ოპერაცია.

**კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა ნაკლოვანება
აუდიტის მიგნება**

საქართველოს პარლამენტის აპარატი.

სტანდარტის შესაბამისად, დარიცხვის მეთოდით სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში,

დამტკიცების თაობაზე, მუხლი 2, პუნქტი 10.

⁴¹ სსპას 39 - დაქირავებულთა სარგებელი, მე-8 - მე-9 მუხლები.

⁴² წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს.

⁴³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის ბრძანება N17 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 56, პუნქტი 13 და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, დანართი 2 - გადამყვანი ცხრილები.

**კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა ნაკლოვანება**

რომელსაც იგი განეკუთვნება.⁴⁴ აღნიშნული მოთხოვნიდან გამონაკლისი/შეღვათი დადგენილია ფინანსთა მინისტრის ბრძანებით,⁴⁵ რომლის მიხედვით დასაშვებია კომუნალური და სხვა უწყვეტი მომსახურების ხარჯების მიკუთვნება იმ საანგარიშო პერიოდისთვის, როცა მოხდება აღრიცხვის დოკუმენტის მიღება/შექმნა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნება. ზემოაღნიშნული გამონაკლისიდან გამომდინარე, პარლამენტის და ბიბლიოთეკის 2022 წლის საწვავის და კომუნალური მომსახურების⁴⁶ ხარჯები მოიცავს 2021 წლის დეკემბრის პერიოდს, ჯამურად – 292,005 ლარს და არაა ასახული 2022 წლის დეკემბრის ხარჯები, თანხით – 378,958 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ გამონაკლისი ეხება მხოლოდ უწყვეტ მომსახურებებს და არ გულისხმობს მარაგების (საწვავის) შესყიდვებზე გაწეულ ხარჯებს, ხოლო კომუნალურ მომსახურებებზე შეღვათი დაიშვება მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნების არარსებობის პირობებში,⁴⁷ არ კმაყოფილდება ზემოაღნიშნული შეღვათით სარგებლობის პირობა ასიგნების არარსებობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთები, როგორც წინა პერიოდის შეცდომის გასწორება, 292,005 ლარით უნდა დაკორექტირებულიყო და 378,958 ლარი უნდა ასახულიყო 2022 წლის ვალდებულებებსა და ხარჯებში.

საქართველოს პარლამენტის აპარატი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

⁴⁴ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7.

⁴⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 7, პუნქტი 2.

⁴⁶ ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი.

⁴⁷ ორგანიზაციებს 2022 წლის ბოლოს „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში აუთვისებელი თანხები დარჩათ.

**გაცემული
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
პროცესზე
პასუხისმგებელ პირი**

გიორგი დავითაშვილი
gdavitashvili@sao.ge

**სახელმწიფო
აუდიტის სამსახურის
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
სისტემა**

<https://aris.sao.ge/>

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

**ელექტრონული ფოსტის
მისამართი**

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE